ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და
საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი

1. გავრცელების სფერო

1.1 აღნიშნული წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) არსებულ იმ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებზე, რომლებიც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (შემდგომში პროგრამული დაფინანსება) და/ან უნივერსიტეტის შიდა დაფინანსების (შემდგომში შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება) ფარგლებში ახორციელებენ;

1.2 აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება უნივერსიტეტის იმ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალზე, რომლებიც შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში ინდივიდუალურად ახორციელებენ კვლევით პროექტებს.

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზანი და ამოცანები

2.1 უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენს შეფასების ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, აკადემიური თუ სამეცნიერო პერსონალის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას.

2.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

- ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, მათი პრევენციის მიზნით;
- განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა და სამომავლო კვლევების დაგეგმვა;
- შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების მართვა.

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მეთოდები

3.1 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, და წინასწარ დადგენილი ფორმით.

3.2 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხდება მის მიერ განხოციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასების გზით.

3.3 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული შეფასების/ანგარიშის ფორმის საშუალებით.

3.4 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები/ინდიკატორები:

- პროგრამული დაფინანსების და/ან შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების ათვისების მაჩვენებელი;
- ისეთი სამეცნიერო აქტივობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, როგორიცაა: ა). წლის განმავლობაში გამოცემული პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და სხვ.); ბ). მოპოვებული პატენტები; გ). დამატებით მოპოვებული სამეცნიერო გრანტები და/ან სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა; დ). სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმებისა და სემინარების ორგანიზება და მასში მონაწილეობა.

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესის მართვა

4.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს წარმართავს უნივერსიტეტის კვლევითი საბჭო და მას ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური.

4.2 უნივერსიტეტის კვლევითი საბჭოს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი და მის შემადგენლობას, რექტორის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4.3 უნივერსიტეტის კვლევითი საბჭო აღნიშნული წესს ქვემდებარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას ხელმძღვანელობს ამ წესში მოცემული კრიტერიუმებით და შეიმუშავებს შესაბამის შეფასების/ანგარიშის ფორმას/ფორმებს.

4.4 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება შეიძლება ხორციელდებოდეს ფაკულტეტის/სკოლის დონეზე ამ წესით განსაზღვრული პრინციპებითა და უნივერსიტეტის კვლევითი საბჭოს მიერ შემუშავებული ფორმების გამოყენებით. ამ პროცესს წარმართავს ფაკულტეტის/სკოლის საბჭო.

4.5 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესი განსხვავდება დაფინანსების წყაროს შესაბამისად, კერძოდ:

ა) სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შემთხვევაში, უნივერსიტეტის კვლევითი საბჭო საქმიანობის წლიურ სამეცნიერო ანგარიშებს, შეფასების მიზნით, წარუდგინს სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. წლიური სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები აისახება მეცნიერებათა აკადემიის ანგარიშში, რომელიც იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;

ბ) შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში მიმდინარე კვლევების შეფასებისას, უნივერსიტეტის კვლევით საბჭო განიხილავს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების/ანგარიშების ფორმებს და დასკვნებს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო დაფინანსება

5.1 უნივერსიტეტის კვლევითი საბჭო, შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში მიმდინარე კვლევების შეფასების საფუძველზე, რეკომენდაციას უწევს აკადემიურ საბჭოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევით ერთეულში მიმდინარე თუ სამომავლოდ დაგეგმილი კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე.

5.2 უნივერსიტეტის კვლევითი საბჭო ასევე განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში ინდივიდუალური კვლევითი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობას და შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

5.3 შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებაზე საბოლო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა

6.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია, უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, რაც

ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესრულებას.

6.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გაცნობა ხდება თითოეული შეფასებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისთვის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის.

6.3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია სამეცნიერო-კვლევების კოორდინაციის სამსახური.

7. წესის ამოქმედების ვადა

7.1 აღნიშნული წესი ძალაში შედის 2017 წლის 1 ნოემბრიდან და ვრცელდება 2018 წლიდან განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე.